

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40

2012 წლის 27 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

2. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსავლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად.

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-4 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე-10 მუხლის თანახმად;

კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე-11 მუხლის თანახმად;

ლ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-12 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მე-13 მუხლის შესაბამისად,

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მე-14 მუხლის თანახმად;

გ) განათლება მე-15 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის კულტურა, რელიგია და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები მე-16 მუხლის თანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-17 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ბალანსის საპროგნოზო მაჩვენებლები მე-18 მუხლის თანახმად;

ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები მე-19 მუხლის თანახმად;

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები მე-20 მუხლის თანახმად;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივებისა და ფუნქციონალური კლასიფიკაციის საპროგნოზო მაჩვენებლები მე-21 მუხლის თანახმად;

4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის №49 დადგენილება (ვებგვერდი, 111221024, 28/12/2011, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016073).

5. დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 იანვრიდან.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი
თავი I

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი											
დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი			2012 წლის გეგმა			2012 წლის იანვარ -ნოემბერი			2013 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	9 729,8	10 834,4	2 205,2	8 629,2	17032,6	6566,4	10466,2	16 150,7	6 300,4	9 850,3	9 900,0
გადასახადები	2 173,7	1 941,5	0,0	1 941,5	2046,8	0,0	2046,8	1 844,4	0,0	1 844,4	1 828,7
გრანტები	6 709,2	7 648,1	2 205,2	5 442,9	13898,8	6406,4	7 332,4	13 362,0	6 300,4	7 061,6	7 282,5
სხვა შემოსავლები	846,9	1 244,8	0,0	1 244,8	1087,0	0,0	1087,0	944,3	0,0	944,3	788,8
ხარჯები	7 062,9	8 742,3	190,5	8 551,8	11573,7	851,9	10721,8	10 587,0	626,1	9 960,9	9 958,0
შრომის ანაზღაურება	1 156,9	1 247,2	0,0	1 247,2	1432,2	0,0	1432,2	1 352,2	0,0	1 352,2	1886,6
საქონელი და მომსახურება	1 203,3	1 480,2	0,0	1 480,2	1818,8	115,0	1703,8	1 590,2	188,4	1 401,8	1875,3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	3 792,0	4 615,2	0,0	4 615,2	5271,7	0,0	5271,7	4 859,3	0,0	4 859,3	5260,0
გრანტები	0,0	300,0	0,0	300,0	1 360,0	0,0	1 360,0	1 360,0	0,0	1 360,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	684,0	608,8	0,0	608,8	911,1	160,0	911,1	772,6	0,0	772,6	679,0
სხვა ხარჯები	226,7	490,9	190,5	300,4	619,9	576,9	43,0	652,7	437,7	215,0	257,1



საოპერაციო სალდო	2 666,9	2 092,1	2 014,7	77,4	5458,9	5714,5	-255,6	5 563,7	5 674,3	-110,6	-58,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 850,3	2 007,1	1 940,0	67,1	5821,4	5714,5	106,9	5 678,0	5 508,9	169,1	-58,0
ზრდა	4 281,2	2 162,3	1 940,0	222,3	6032,1	5714,5	317,6	5 818,1	5 508,9	309,2	42,0
კლება	430,9	155,2	0,0	155,2	210,7	0,0	210,7	140,1	0,0	140,1	100,0
მთლიანი სალდო	-1 183,4	85,0	74,7	10,3	-362,5	0,0	-362,5	-114,3	165,4	-279,7	0,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 183,4	85,0	74,7	10,3	-362,5	0,0	-362,5	-114,3	165,4	-279,7	0,0
ზრდა	0,0	85,0	74,7	10,3	0,0	0,0	0,0	165,4	165,4	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები		85,0	74,7	10,3	0,0	0,0		165,4	165,4		0,0
კლება	1 183,4	0,0	0,0	0,0	362,5	0,0	362,5	279,7	0,0	279,7	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 183,4	0,0			362,5	0,0	362,5	279,7		279,7	0,0
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2012 წლის იანვარ - ნოემბერი			2013 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	10989,6	17605,8	6566,4	11039,4	16653,3	6300,4	10352,9	10 000,0
- შემოსავლები	10834,4	17032,6	6566,4	10466,2	16150,7	6300,4	9850,3	9900,0
- არაფინანსური აქტივების კლება	155,2	210,7		210,7	140,1		140,1	100,0
გადასახდელები	10904,6	17605,2	6406,4	10709,9	16405,1	6135,1	10270,1	10 000,0



- ხარჯები	8742,3	11601,5	879,7	10721,8	10587,0	626,1	9960,9	9958,0
- არაფინანსური აქტივების ზრდა	2162,3	6004,3	5686,7	317,6	5818,1	5508,9	309,2	42,0
ნაშთის ცვლილება	85,0	- 362,5		- 362,5	-114,3	165,4	-279,7	-

მუხლი 3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9900,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2012 წლის იანვარ - ნოემბერი			2013 წლის გეგმა
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	10834,4	17032,6	6566,4	10466,2	16150,7	6300,4	9850,3	9900,0
გადასახადები	1941,5	2046,8		2046,8	1844,4		1844,4	1828,7
გრანტები	7648,1	13898,8	6566,4	7332,4	13362,0	6300,4	7061,6	7282,5
სხვა შემოსავლები	1244,8	1087,0		1087,0	944,3		944,3	788,8

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2011 წლის ფაქტი			2012 წლის გეგმა			2012 წლის იანვარ - ნოემბერი			2013 წლის გეგმა
	მათ შორის		მათ შორის		მათ შორის					
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	1 941,5	0,0	1 941,5	2046,8	0,0	2046,8	1329,8	0,0	1329,8	1828,7
ქონების გადასახადი	1 941,5	0,0	1 941,5	2046,8	0,0	2046,8	1329,8	0,0	1329,8	1828,7
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	913,3		913,3	1080,2		1080,2	1005,1		1005,1	919,0



უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,1		1,1	0,0			0,0			
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	97,6	0,0	97,6	81,0	0,0	81,0	36,0	0,0	36,0	81,0
ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე	10,0		10,0	82,1		82,1	10,7		10,7	81,0
არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	87,6		87,6	0,0			25,3		25,3	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	135,8	0,0	135,8	135,2	0,0	135,2	43,3	0,0	43,3	114,0
ფიზიკურ პირებიდან	102,5		102,5	92,7		92,7	33,8		33,8	70,0
იურიდიულ პირებიდან	33,3		33,3	42,5		42,5	9,5		9,5	44,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	793,7	0,0	793,7	749,3	0,0	749,3	245,1	0,0	245,1	714,7
ფიზიკურ პირებიდან	258,7		258,7	256,5		256,5	29,0		29,0	85,0
იურიდიულ პირებიდან	535,0		535,0	492,8		492,8	203,9		203,9	565,0
სხვა გადასახადები	0,0			0,0			0,3		0,3	

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7282,5 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2011 წლის ფაქტი			2012 წლის გეგმა			2012 წლის იანვარ - ნოემბერი			2013 წლის გეგმა
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	7 648,1	2 205,2	5 442,9	13898,8	6566,4	7332,4	13362,0	6300,4	7061,6	7282,5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7 648,1	2 205,2	5 442,9	13898,8	6566,4	7332,4	13362,0	6300,1	7061,6	7282,5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6 442,9	1 000,0	5 442,9	9 092,4	1 760,0	7 332,4	8821,6	1760,0	7061,6	7282,5
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 242,9		5 242,9	7 110,4		7 110,4	6843,6		6843,6	7057,5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	200,0		200,0	222,0		222,0	218,0		218,0	225,0



ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	1 000,0	1 000,0		1 760,0	1 760,0		1760,0	1760,0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1 205,2	1 205,2	0,0	4646,4	4646,4	0,0	4540,4	4540,1	0,0	0,0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება (155 განკარგულება)	0,0			2 050,0	2 050,0		2014,4	2014,4		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 085,0	1 085,0		1 381,4	1 381,4		1311,0	1311,0		
სხვა პროექტები	120,2	120,2	0,0	1375,0	1375,0	0,0	1215,0	1215,0	0,0	0,0
<i>მ.შ. სხვა დანარჩენი</i>	<i>120,2</i>	<i>120,2</i>		<i>1375,0</i>	<i>1375,0</i>		<i>1215,0</i>	<i>1215,0</i>		

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 788,8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი			2012 წლის გეგმა			2012 წლის იანვარ - ნოემბერი			2013 წლის გეგმა
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
სხვა შემოსავლები	1 244,8	0,0	1 244,8	1087,0	0,0	1087,0	944,3	0,0	944,3	788,8
შემოსავლები საკუთრებიდან	549,5	0,0	549,5	349,5	0,0	349,5	315,0	0,0	315,0	268,8
პროცენტები	69,0		69,0	125,3		125,3	119,0		119,0	78,8
რენტა	480,5	0,0	480,5	224,2	0,0	224,2	196,0	0,0	196,0	190,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	192,3		192,3	164,2		164,2	160,1		160,1	130,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	288,2		288,2	60,0		60,0	35,9		35,9	60,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	416,7	0,0	416,7	377,4	0,0	377,4	318,7	0,0	318,7	305,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	380,5	0,0	380,5	365,4	0,0	365,4	298,3	0,0	298,3	305,0
სანებართვო მოსაკრებელი	0,0			0,0						
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	198,2		198,2	225,0		225,0	165,5		165,5	200,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	107,7		107,7	111,9		111,9	105,1		105,1	90,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	74,6		74,6	28,5		28,5	27,7		27,7	15,0



არასაზღვრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	36,2	0,0	36,2	12,0	0,0	12,0	20,4	0,0	20,4	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	36,2		36,2	12,0		12,0	20,2		20,2	
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	0,0			0,0			0,2		0,2	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	210,6		210,6	300,0		300,0	258,5		258,5	200,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	68,0		68,0	60,1		60,1	52,1		52,1	15,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9958,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი			2012 წლის გეგმა			2012 წლის იანვარ – ნოემბერი			2013 წლის გეგმა
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
ხარჯები	8 742,3	190,5	8 551,8	11573,7	851,9	10721,8	10587,0	626,1	9960,9	9958,0
შრომის ანაზღაურება	1 247,2	0,0	1 247,2	1432,2		1432,2	1352,2		1352,2	1886,6
საქონელი და მომსახურება	1 480,2	0,0	1 480,2	1818,8	115,0	1703,8	1590,2	188,4	1401,8	1875,3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0							
პროცენტი	0,0	0,0	0,0							
სუბსიდიები	4 615,2	0,0	4 615,2	5271,7		5271,7	4859,3		4859,3	5260,0
გრანტები	300,0	0,0	300,0	1360,0		1360,0	1360,0		1360,0	
სოციალური უზრუნველყოფა	608,8	0,0	608,8	1071,1	160,0	911,1	772,6		772,6	679,0
სხვა ხარჯები	490,9	190,5	300,4	619,9	576,9	43,0	652,7	437,7	215,0	257,1

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება - 58,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 42,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2011 წლის	2012 წლის	2013 წლის
------	------------	-----------	-----------	-----------



		ფაქტი	გეგმა	გეგმა
1	არაფინანსური აქტივების ზრდა	2162,3	6032,1	42,0
სულ ჯამი		2162,3	6032,1	42,0

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2011 ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	155.2	210,7	100.0
ძირითადი აქტივები	9.5	48,8	10.0
არაწარმოებული აქტივები	145.7	161,9	90.0
მიწა	145.7	161,9	90.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2011 ფაქტი	2012 გეგმა	2013 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2908,9	3873,7	3450,4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2389,2	3362,7	2965,5
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2026,1	1922,3	2765,5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	363,1	1440,4	200,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	69,3	492,0	70,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	69,3	492,0	70,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	445,4	6,8	414,9
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	5,0	12,2	0,0
702	თავდაცვა	110,1	131,7	145,5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	294,5	289,9	312,7
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	112,0	70,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	182,5	219,9	312,7



704	ეკონომიკური საქმიანობა	2275,9	6721,7	155,0
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	48,9	64,1	58,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	48,9	64,1	58,0
7045	ტრანსპორტი	851,7	81,6	47,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	851,7	81,6	47,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1375,3	6477,0	50,0
705	გარემოს დაცვა	745,0	815,7	710,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	745,0	815,7	710,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	456,9	755,6	433,0
7061	ბინათმშენებლობა	41,5		
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	337,3	360,6	380,0
7063	წყალმომარაგება		0,9	
7064	გარე განათება	0		
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	78,1	394,1	53,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	88,9	86,3	93,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	72,9	86,3	93,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	16		
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2076,6	2350,1	2422,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	691,0	857,9	891,4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1314,9	1422,7	1459,6
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	70,7	69,5	71,0
709	განათლება	1263,3	1510,0	1519,4
7091	სკოლამდელი აღზრდა	1140,0	1369,4	1408,4
7092	ზოგადი განათლება	25,1	0	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	25,1	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	98,8	140,6	111,0
710	სოციალური დაცვა	684,5	1071,1	759,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,9		
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	200,5		



7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	369,8		
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	112,3	1071,1	759,0
	სულ	10904,6	17605,8	10 000,0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 200.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 225.0 ათასი ლარი მიიძღვრება:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 79,5 ათასი ლარი;
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 130.4 ათასი ლარი;
 - გ) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 15,1 ათასი ლარი;
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1.თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო უსაფრთხოების ამოცანათა განხორციელება ბოლო წლებში ინტენსიურად ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ. მუნიციპალიტეტი შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება კომუნალური ხარჯების ანაზღაურებაში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 სახანძრო. სამაშველო სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)



ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრების, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით სახანძრო სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მეხანძრეების ოპერატიული მოქმედებისათვის.

დაბა ურეკის წყალმომარაგებას უზრუნველყოფს ემსახურენა ურეკი შეკვეთილის ზღვის დამსვენებლების უსაფრთხო დასვენების პირობები. მაშველები თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულები ხვდებიან ზღვის სეზონს, წყალმომარაგებას მოთხოვნების გათვალისწინებით აუცილებელია სპეც.ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა.

1.2 საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 02 02)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო უსაფრთხოების ამოცანათა განხორციელება ბოლო წლებში ინტენსიურად ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ. მუნიციპალიტეტი 2013 წლის ბიუჯეტით აღარ უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ფინანსურ ხელშეწყობას.

1.3 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

(პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მუხლი 14. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

14.1, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

14.1.1, მუნიციპალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 02 02)

პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

14.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები.

14.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან;



ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

გაგრძელება ოზურგეთში და დაბა ურეკის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმა, ქალაქის ქუჩების მორწყვა და მორეცხვა.

14,4 კომუნალური მომსახურების ცენტრი (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ქალაქის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავრიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამიშავება და გატანა. მცენარეთა შესყვდა დარგვის თანმდევი მომსახურებით.

14,5 ა.ი.პ. სოფლის მეურნეობის განვითარების ცენტრი (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის მიზანია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზრდა, არსებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების ეფექტური გამოყენება; სასოფლო სამეურნეო ტექნიკის სერვის-ცენტრებში ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტების მიერ ფერმერებისათვის სწავლების ჩატარება და საკონსულტაციო მომსახურება მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე; სასათბურე მეურნეობების განვითარება სანერგე მეურნეობების შექმნა, მაღალ ხარისხიანი, ჯიშისანი ნერგების გამოყვანა არსებული ამორტიზირებული და არარენტაბელური ბაღების ჩასანაცვლებლად, ხილსაცავების მოწყობა მოსალოდნელი ეკონომიკური ზიანის მინიმიზირების უზრუნველყოფის მიზნით საკარანტინო მავნებლების გავრცელების წინააღმდეგ ღონისძიებების ჩატარება; ნიადაგის ნაყოფიერებების ამაღლების ღონისძიებები;

14,6 რეგიონალური განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, გურიის შესახებ ცნობადობის მიღწევა ტურიზმის სფეროში საერთაშორისო დონეზე, დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, კულტურული ტრადიციების აღდგენა, ახალგაზრდობის ჩართვა სხვადასხვა საქმიანობებში გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელება და რეგიონალური განვითარების სააგენტოების ქსელში გაწევრიანება, ერთობლივ და ქსელურ პროექტებში მონაწილეობის მიზნით.

მუხლი 15. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

15,1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა-ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 37 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1600 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის სწავლის ღირებულება შეადგენს ქალაქის ბაღებში 15 ლარს ხოლო სოფლის ბაღებში 10 ლარს და აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.



15,2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.

15,2,1 ა.ი.პ. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 02 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას.

ორგანიზაციის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი, პატრიოტული ცნობიერების, შრომითი უნარჩვევების ჩამოყალიბება, განსხვავებული უნარის მქონე ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში სადაც სრული თავისუფლება მიენიჭება მათ შესაძლებლობებს.

15,2,2 განათლების სხვა ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 02 03)

ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ხელშეწყობა.

მუხლი 16. კულტურა, რელიგია და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

16,1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში სპორტმენტა მომზადების ორგანიზაციური და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „მერცხალი“;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჩოგბურთო სკოლა;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების ცენტრი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების, საინფორმაციო, ანალიტიკური და მეთოდური დახმარების ცენტრი;
- შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო კლუბი „მარულა“;

16,1,2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასთან და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური კულტურის ცენტრი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა;



- ს.ს.ი.პ ქ.ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო თეატრი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი-გალერეა;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ურეკის კულტურის სახლი;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსაბლი „გურია“;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუსიკალური სკოლა;
- ა.(ა).ა.ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმი;

16,1,3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

გაგრძელდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან:

ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება;

თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება.

პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების პატრიოტთა ბანაკებში მგზავრობის ხარჯები.

16,1,4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

16,1,5 ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 13)

მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა; ტურისტული მარშრუტების დაგეგმარება; ლაშქრობების და სკაუტების ორგანიზება; ტურისტული დისლოკაციის ადგილების მოწყობა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ურეკში, შეკვეთილში ზღვის სეზონთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები, სეზონის გახსნა და დახურვა, სხვადასხვა სახის ფესტივალების მოწყობა. კურორტ გომისმთაზე სამთო ექსტრემალური სათავედასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების ორგანიზება და ხელშეწყობა.

მუხლი 17. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

17,1. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა 140.000 ლარი

პროგრამის განმახორციელებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

პროგრამის მიზანი

მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური ფინანსური დახმარება



პროგრამის სუბიექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები 4 და მეტი შვილი 18 წლამდე, რომელთა სარეიტინგო ქულაა 57.001 დან 150.000მდე. ერთერთი ბავშვის სრულწლოვანების ასაკის შემთხვევაში ოჯახი კარგავს დახმარებას.

მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 86 მრავალშვილიანი ოჯახი 4 და მეტი 18 წლამდე ბავშვით. მონაცემები წლის განმავლობაში ცვალებადია.

პროგრამა განხორციელდება ყოველთვიურად ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

ერთ მრავალშვილიან ოჯახზე გაიცემა ყოველთვიური დახმარება თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით.

მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.000-ს (84 ოჯახი) წლის განმავლობაში სამჯერ გაეწევთ დახმარება 100 ლარის ოდენობით.

პროგრამის დაფინანსება

პროგრამით გათვალისწინებული თანხაა 140.000 პროგრამით გათვალისწინებული კატეგორიის მიხედვით დგება რეესტრი. დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად ბანკის მეშვეობით ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე.

17.2, უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთა 80.000ლარი

პროგრამის განმახორციელებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

პროგრამის მიზანი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის ყოველდღიური მატერიალური და მორალური დახმარება, მათი ყოველდღიური ერთჯერადი კვება.

პროგრამის სუბიექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული 125 მოქალაქე.

პროგრამა განხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

პროგრამის დაფინანსება

პროგრამით გათვალისწინებული თანხაა 80.000 ლარი. თანხის გაცემა ხდება ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში.

17.3. სტიქიური მოვლენების შედეგად და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა 150.000 ლარი

მიზანი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ოჯახების ერთდროული მატერიალური დახმარება.

პროგრამის სუბიექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მცხოვრები ოჯახები.

მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს განცხადება, აქტი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისგან ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ,

ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან.



განცხადების დაკმაყოფილება მოხდება სოციალური სამსახურის და ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის მიერ გაცემული შემოწმების აქტის საფუძველზე.

განმცხადებელი დაფინანსებას იღებს ინდივიდუალურად

პროგრამის დაფინანსებისათვის საჭიროა 150.000 ლარი.0

17.4. ვეტერანთა დახმარების პროგრამა 19000 ლარი

პროგრამის განმახორციელებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების (სამამულო ომის ვეტერანი-75; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1992-1993წლებში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები-39, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახები-3 ოჯახი) ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს 75 სასამულო ომის ვეტერანზე გაიცემა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით .

2008 წლის აგვისტოს დაღუპულ მეომართა ხსოვნის დღე- 2400 ლარი (სამი ოჯახი)

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის დღე 27 სექტემბერი- 3900 ლარი. (39 ოჯახი); ვეტერანთა კავშირი 8940 ლარი

პროგრამის განხორციელებისათვის საბიუჯეტო წლის განმავლობაში თანხის რაოდენობა შეადგენს 19000 ლარს.

17.5. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე მეომრებისა და II მსოფლიო ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება.

გათვალისწინებულია 10 000 ლარი (250ლარი თითოეულზე).

გარდაცვლილის მემკვიდრემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. ომის მონაწილის პლასტიკური ბარათი
2. ომის მონაწილის გარდაცვალების ცნობა
3. თანხის ამღების პირადობის მოწმობის ასლი

თანხის გაცემა მოხდება ბანკში ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე.

17.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა - 40100 ლარი.

1. გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციასთან არსებული დღის ცენტრში 18 წელს გადაცილებული 15 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფინანსება.

მთლიანი ბიუჯეტი 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით 40100 ლარი.

ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებულია დღიური ხარჯი 8 ლარი.



პროექტით გათვალისწინებულია მომსახურების შემდეგი სერვისი:

1. ბენეფიციართა ყოველდღიური მომსახურება(შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 2-ჯერადი კვებით სადილი და სამზარი.
2. ბენეფიციართა სატრანსპორტო უზრუნველყოფა (ცენტრში მათი მიყვანა და შინ დაბრუნებ)
3. საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარჩვევების განვითარება.
4. საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტული გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.
5. ბენეფიციართა სან-ჰიგიენური დაფსიქოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.

პროგრამა ხორციელდება ერთჯერადად. ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში პროგრამის განხორციელებისთვის საჭიროა 40100 ლარი.

17.7. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა (აფხაზეთი –სამაჩაბლო) -16.300 ლარი

პროგრამის განმახორციელებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 220 ადამიანი 69 ოჯახი იძულებით გადაადგილებულ პირთა (აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან) ერთჯერადი მატერიალური დახმარებებით უზრუნველყოფა.

1. ზამთრისათვის საშემე მერქნით დახმარების პროგრამა

დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თითოეული ოჯახისთვის საშემე მერქნის თანხის უზრუნველყოფით.

პროგრამის განხორციელებისათვის საბიუჯეტო წლის განმავლობაში თანხის რაოდენობა შეადგენს 13000 ლარს. თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით.

2. დევნილთა სარიტუალო ხარჯები

პროგრამის განხორციელებისათვის საბიუჯეტო წლის განმავლობაში თანხის რაოდენობა შეადგენს 1000 ლარს (თითოეულ ოჯახზე 200 ლარი).

3. ექსტრემალურ სიტუაციაში-ოპერაცია და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება.

პროგრამის განხორციელებისათვის საბიუჯეტო წლის განმავლობაში თანხის რაოდენობა შეადგენს 2300 ლარს. მაქსიმალური თანხა 300 ლარი.

ყველა სახის დახმარებების გაცემა მოხდება ბანკის მეშვეობით ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე.

17.8. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა 1500 ლარი

პროგრამის განმახორციელებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

პროგრამის მიზანი



პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 წლის და 100 წელს ზემოთ მყოფი მოქალაქეების დახმარება (თითოეულზე 200 ლარის ოდენობით).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 6 ას წელს გადაცილებული მოქალაქეა.

მონაცემები ცვალებადია.

17,9. ეკონომიურად შეჭირვებულ ოჯახებზე სათბობის (შეშის)შეძენის ხარჯები. 20.000 ლარი.

პროგრამის განმახორციელებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა და უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სარეიტინგო ქულით 100.000-მდე ერთდროული მატერიალური დახმარება.

პროგრამის დაფინანსების წესი

დახმარების მიღების მსურველებმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინონ შენდები დოკუმენტაცია:

მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს განცხადება, აქტი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულიდან ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ,

ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, პირადობის მოწმობის ასლი.

დახმარების გაცემა მოხდება ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე.

17,10. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა -34.000ლარი პროგრამის განმახორციელებელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახური.

პროგრამის მიზანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თირკმლის უკმარისობით დაავადებული 22-მდე მოქალაქე დიალიზის მკურნალობის კურსს გადის ქ. ბათუმსა და სხვა ქალაქებში. მათთვის მგზავრობის თანხით დაფინანსება. თითოეულს ყოველთვიურად 120ლარის ოდენობით.

დახმარების მიღების მსურველებმა მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარმოადგინონ შენდები დოკუმენტაცია:

განცხადება

პირადობის მოწმობის ასლი

ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან დიალიზის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ. დახმარების გაცემა მოხდება ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ პირად ანგარიშზე. თითოეულ ბენეფიციარს გამოეყოფა ყოველთვიურად მგზავრობის თანხა 120 ლარის ოდენობით.

17.11, სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება-30.000 ლარი

დღის ცენტრი 25 უკიდურესად შეჭირვებულ ბავშვს მოემსახურება:



M-მომსახურება განხორციელდება შაბათ-კვირისა და სადღესასწაულო დღეების გარდა ყოველ დღე 14:00 სთ. დან 18:00 სთ. მდე. ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან ორჯერადი კვებით (სადილი და სამხარი.)

-ცენტრის მიერ განხორციელდება ოჯახის მხარდამჭერი ღონისძიებები: მშობელთა კონსულტაციები, ვიზიტი ოჯახებში და შეფასება, ოფიციალური დოკუმენტაციის მოწესრიგებაში დახმარება.

-სამედიცინო მომსახურება

-ფსიქოლოგის მომსახურება

-იფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები (კულინარია, ხელგარჯილობა. მუსიკა-ქორეოგრაფია, უცხო ენები).

17,12, სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ლტოლვილის სტატუსის მქონე აღსაზრდელთა გადასახადისაგან განთავისუფლება -- 30.000 ლარი

პროგრამის სუბიექტი

1. სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილი, რომლებთაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში აქვთ სარეიტინგო ქულა 5700-მდე სრულად თავისუფლდებიან გადასახადისაგან.
2. ლტოლვილის სტატუსის მქონე აღსაზრდელები, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში სრულად თავისუფლდებიან გადასახადისაგან.
3. მრავალშვილიანი ოჯახის შვილები (4 და მეტი შვილი), 50% თავისუფლება გადასახადისაგან.
